ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3973825

ნომერი: AR1596406

თარიღი : 30.04.2018

გაცემის თარიღი : 22.05.2018

გაცნობის თარიღი : 22.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა კიკვაძე პ/ნ 01001002359
- ილორის ქ20 ბ4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 აპრილს №AR1596406 განცხადებით მომართა შორენა კიკვაძემ და ამავე სამსახურის 2018 წლის 15

თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმაზე ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. №1ბ / ქ. თბილისი, ვარდისუბნის ქ. №6 თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.08.006.018) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებული +0.000 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება, რადგან განმცხადებლის განმარტებით, გ-2 ღერძის კვეთაზე მექანიკურად არის გამორჩენილი კოლონის გრაფიკულად დატანა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია გასწორებული +0.000 ნიშნულის საპროექტო გეგმა.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეთანხმებული +0.000 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +0.000 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩაანაცვლდეს განმცხადებლის მიერ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.